06/12/2024

MES 6 24 0001570039

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.11.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I, III, IV, V)
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (II)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. დავით ტეფნაძე - შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

11. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. დიანა მჭედლიშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
15. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
გიორგი პაპავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით თუთბერიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით გამყრელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ხიშტოვანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ალექსანდრე ერგეშიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ მაღალაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ჯინჭველაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ამირანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ეკატერინე კვინიკაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ კიკნაველიძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
მარიამ მაჭავარიანი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.
გიორგი აბრამიშვილი - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

ნია ნათბილაძე - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
რამილი ზუკაკიშვილი - „საავიაციო ინჟინერიის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
გივი სანაძე - პროფესორი.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
სოფიო ხუნდაძე - ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ პერტაია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანა გელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
დარეჯან გარდავაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო კვირიკაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ანა გოგუაძე - ენების შემსწავლელი ცენტრის ჩინური ენის პედაგოგი;
ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
1. კაროლინა ტიმკო (CarolinaTimco) - (I საკითხი);
2. ილია ბოცვაძე - (I საკითხი);
3. დავით სიხარულიძე - (I საკითხი);
4. სანდრო ტაბატაძე - (I საკითხი);
5. გიორგი ფარეშიშვილი - (I საკითხი);
6. მამუკა ბენაშვილი - (II საკითხი);
7. ხათუნა საგანელიძე - (III საკითხი);
8. ნინო ინაური - (III საკითხი);
9. ლანა ბოკუჩავა - (III საკითხი);
10. ზვიად ცხვედიანი - (IV საკითხი);
11. ქეთევან თოდაძე - (V საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. საბჭოს მიმდინარეობის დროს, მეორე საკითხზე, სხდომის თავმჯდომარეობა გაწია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო, "ფინანსების" საბაკალავრო და "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შეასრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო, "ფინანსების" საბაკალავრო და "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო, "ფინანსების" საბაკალავრო და "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე

ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, კაროლინა ტიმკო (Carolina Timco), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების“ ორივე უმაღლესი საფეხურის პროგრამაზე დასაქმებულ როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს ჰქონდა ძლიერი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც კიდევ უფრო მეტ ფასეულობას შექმნიდა სტუდენტებისთვის. მან ხაზი გაუსვა როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის გამართულად მუშაობას და სწავლის შედეგების შეფასების კარგად შემუშავებულ მექანიზმს. ვიზიტის დროს გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, ნაყოფიერი და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის, სწავლის შედეგების შეფასების ხელშემწყობი მექანიზმები, „არგუსის“ საინფორმაციო სისტემისა და აკადემიური წერის ცენტრის არსებობა. მან აღნიშნა, რომ სამივე პროგრამის შემთხვევაში, პირველი სტანდარტი „მეტწილად შესაბამისობაში“, ხოლო დანარჩენი სტანდარტი „შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ შეფასდა. გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი ნაწილობრივ არ მოიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც დაწესებულებას დაეხმარებოდა იმ კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, რომლებიც გათვალისწინებული იყო დარგობრივი მახასიათებლით. გარდა ამისა, არსებობდა ისეთი კურსების ნაკლებობა, რომლებიც იქნებოდა ადაპტირებული ბაზარზე არსებულ რეალობასთან. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ისეთი კურსების შემოთავაზებას, რომლებშიც ინტეგრირებული იქნებოდა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტრუმენტები. ზოგიერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს 5 წლის განმავლობაში არ ჰქონდა სამეცნიერო აქტივობა დაფიქსირებული. ამ დასკვნამდე ექსპერტთა ჯგუფი მივიდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. მისი თქმით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაიცა განმავითარებელი რჩევები. მაგალითად, 180 კრედიტიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში არ იყო მოცემული თავისუფალი კომპონენტი. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით მუშაობა. გარდა ამისა, სტაჟირება, როგორც სავალდებულო კურსი, არ იყო მოცემული. ამ კურსის დამატებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხი. ასევე ვიზიტის დროს შეინიშნებოდა ქართულ ენაზე ლიტერატურის ნაკლებობა. ლიტერატურის დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, ასეთი ფაქტის არსებობამ შეიძლება ხელი შეუშალოს სწავლაში იმ სტუდენტს, რომელიც არ ფლობს ინგლისურ ენას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტები არ იყვნენ აქტიურად ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში. ამ მიმართულებით მეტი აქტივობა სტუდენტებს დაეხმარებოდა სამომავლოდ საკუთარი გზის არჩევაში, მათ შორის, სამაგისტრო თემის არჩევაში. ასევე საერთაშორისო მობილობაზე სასურველი იქნებოდა მეტი ყურადღების გამახვილება უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხრიდან, რომელიც გააუმჯობესებდა როგორც საგანმანათლებლო გამოცდილებას, ისე საერთო პროექტების შემუშავებას. სამაგისტრო ნაშრომებში საჭიროა მეტი ყურადღება კვლევის მეთოდოლოგიაზე, დიზაინსა და წერაზე. მისი თქმით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი კარგად არ ჩანდა სამეცნიერო საზოგადოებაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაწესებულებამ უნდა იმუშაოს. ასევე იმ

მოწვეულ პერსონალს, რომელსაც არ აქვს სწავლების გამოცდილება, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ამ მიმართულებით „სწავლების მეთოდების“ კურსის ჩატარება. გარდა ამისა, ნაკლებად შენიშნული იყო კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში. ამრიგად, ასეთი იყო ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც გაიცა პროგრამების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, ნიკოლოზ ყაველაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, სამივე პროგრამის შემთხვევაში პირველი სტანდარტი „მეტწილად შესაბამისობაში“, ხოლო დანარჩენი სტანდარტი „შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ შეფასდა. 1.4 კომპონენტში მოცემულ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დიდი ხანია ასწავლიდა სხვა პროგრამაში „ბიზნესის საფუძვლებს“, „მარკეტინგის კურსს“, „ადამიანური რესურსების მართვასა“ და „ბიზნეს სამართალს“. მოცემული რეკომენდაციის შესრულება არ არის ძნელი, თუმცა, პროგრამის არსიდან გამომდინარე მისი გათვალისწინება არ იქნება რელევანტური, რადგან პროგრამის შექმნამდე იდეა იყოს ის, რომ პროგრამაში ფინანსური საგნები ჭარბი რაოდენობით ყოფილიყო წარმოდგენილი. დაწესებულებას სურს, რომ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს ისეთი სტუდენტები, რომლებსაც „ფინანსები“ აინტერესებთ. შესაბამისად, ამ მიზნით უნივერსიტეტმა პროგრამაზე მისაღებად შეიძლება დააწესოს გარკვეული ბარიერი.

„ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით თუთბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაში შემოთავაზებული კურსების შინაარსი „ფინანსების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში განსაზღვრული მოცულობით დაფარული იყო, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების თემატიკით. დაწესებულების აზრით, „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამა უნდა ფოკუსირდეს ისეთ ძირითად და ფუნდამენტურ კურსებზე, რომლებიც სტუდენტს ამ დარგში ფართო და საფუძვლიან აღქმას შესთავაზებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული კურსები სპეციალიზებული და სპეციფიკური ხასიათისაა. ისინი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ არჩევითი კურსების ჩამონათვალში. მაგალითად, უნივერსიტეტის აზრი „მონაცემთა და ფინანსური ანალიზის“ გამოყენების შესახებ „Excel“ - ით ეფუძნება იმ ხედვას, რომ „Excel“-ით ნებისმიერი საგნის უზრუნველყოფა წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს ისეთ სავალდებულო კურსებში პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად, როგორიცაა „შესავალი ფინანსურ ანალიზში“, „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, „სტატისტიკისა“ და „ფინანსური აღრიცხვის“ კურსები. ნაცვლად იმისა, რომ „Excel“-ი იზოლირებულად ისწავლებოდეს, სტუდენტი კონკრეტულ სცენარებზე სწავლების პროცესით სწავლობს საგნებს. შესაბამისად, ასეთი ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას დარგისთვის დამახასიათებელი პრობლემის გადასაჭრელად. მისი თქმით, კურსდამთავრებული ანალიზის პროცესში იყენებს მონაცემების დამუშავების შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. თუ სტუდენტს აქვს სურვილი, რომ „Excel“-ის პროგრამა შეისწავლოს სიღრმისეულად, მაშინ მას აქვს უფლება არჩევითი სასწავლო კურსებიდან აირჩიოს ის. ასევე ექსპერტების რეკომენდაცია ეხებოდა შემდეგი სასწავლო კურსების დამატებას: „შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში“ და „საგადასახადო აღრიცხვა“. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები ცალკე აღებული მნიშვნელოვანი კურსებია, რომლებიც სპეციფიკურია და ემსახურება ცოდნის შედარებით ვიწრო მიმართულებით გაღრმავებას, თუმცა საგადასახადო აღრიცხვის ის პრინციპები, რომლებიც აუცილებლად არსებითია „ფინანსების“ კურსებისათვის, მოცემულია სავალდებულო კურსებში. მან აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ამ მიდგომით მოიაზრებდა სასწავლო კურსების სწავლებას. ალექსანდრე ერგეშიძემ სამაგისტრო

პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო თავისუფალი კომპონენტი. მისი თქმით, „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამაში არსებობს შვიდი არჩევითი კურსი, საიდანაც სტუდენტს აქვს ორი არჩევითი კურსის არჩევის საშუალება. აღნიშნულ პროგრამაზე მიღების პროცესი შეიცვალა. იმისათვის, რომ დაწესებულებამ მიიღოს სტუდენტი „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამაზე, ის უნდა შეფასდეს განათლებისა და გამოცდილების მიმართულებით. ასევე კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება „ფინანსების“ მიმართულებით.
გიორგი ხიშტოვანმა განაცხადა, რომ როდესაც მზადდებოდა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი, მოხდა საბაკალავრო პროგრამასთან გადაფარვების დანახვა. შესაბამისად, საჭირო იყო „ბიზნესის საფუძვლების“ სასწავლო კურსის სავალდებულო კურსად დამატება. მისი თქმით, ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა „Python“-ის კურსის დამატებას. ეს კურსი არსებობს უნივერსიტეტის კურიკულუმში, არჩევითი კურსის სახით.
1.5 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, გიორგი პაპავამ განაცხადა, რომ პროგრამაზე არსებული საგნებისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომელიც უმეტეს საგნებისთვის ექვს კრედიტს წარმოადგენს, თანხვედრაშია მინისტრის ბრძანებასთან. სტუდენტის ჯამური საათობრივი დატვირთვა სრულად თანხვედრაშია კრედიტების რაოდენობასთან. განსხვავებები კურსებს შორის მხოლოდ მათი სპეციფიკიდან გამომდინარე არსებობს. შესაბამისად, არსებობს კურსები ერთი ნაწილი, რომელიც მოითხოვს მეტ საკონტაქტო საათს და არსებობს კურსების მეორე ნაწილი, რომელიც უფრო მეტად აქცენტს აკეთებს სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტის უკუკავშირს და საგნების მიხედვით შედეგებს, რომელთა დაყრდნობითაც იცვლება რიგ საგნებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების განაწილება. მაგალითად, „შესავალი ეკონომიკის პრინციპებში“ არის მიკრო ეკონომიკის მიმართულება ერთი სემესტრი და მაკრო ეკონომიკის მიმართულება მეორე სემესტრი, სადაც გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა სტუდენტთა უკუკავშირისა და საგნების შედეგების საფუძველზე. ექსპერტების მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც ეხებოდა სასწავლო საგნების ერთ ნაწილში 30 და სასწავლო საგნების მეორე ნაწილში 45 საკონტაქტო საათების არსებობას, ჭეშმარიტია. მისი თქმით, ასეთი განაწილება საკონტაქტო საათების განპირობებულია სხვადასხვა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლებიც სტუდენტების საუკეთესო ინტერესებს ემსახურება, კერძოდ, ხელს უწყობს შიდა მობილობის დროს კრედიტების ეფექტურ აღიარებას. ასევე სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სხვა მიმართულებიდან აირჩიოს საგნები. ამრიგად, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს. სტუდენტების სტაჟირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც დამსაქმებლებთან, ისე რჩეულთა საბჭოში აქცენტი კეთდება არა სტაჟირებაზე, არამედ კონკრეტულ კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება სტუდენტს არჩევითი კომპონენტის სახით არ სთავაზობს სტაჟირებას.
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა, მნიშვნელოვნად გააფართოვა მრჩეველთა საბჭო. მისი თქმით, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია, ექსპერტებმა დადებით მხარედ აღნიშნეს ბიზნესის სკოლის საბჭოს ჩამოყალიბება. 4.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, განმარტა, რომ რეკომენდაციის ინგლისურ და ქართულ ვერსიაში შინაარსობრივი აცდენა იყო, კერძოდ, რეკომენდაციის ქართულ ვერსიაში მოცემული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, ხოლო ინგლისურ ვერსში მოცემული იყო მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით დაწესებულებამ მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. შესაბამისად, ეს თუ რეკომენდაციად დარჩება, მაშინ მისი შესრულების

ალბათობა ნაკლები იქნება, ვიდრე საერთო შემთხვევაში. კარგი იქნებოდა თუ ამ ფაქტს აკრედიტაციის საბჭო გაითვალისწინებდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტის მიერ გაკეთებული მოხსენება ეწინააღმდეგებოდა დასკვნას. მისი თქმით, კაროლინა ტიმკოს (Carolina Timco) მოხსენებიდან გამომდინარე არ იყო გამიჯნული ის თუ რა მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციად და რჩევად. შესაბამისად, ასეთი ფაქტი არის დაუშვებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ პროგრამები იყო კარგი, თუმცა არსებობდა კითხვები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულების მიერ ჩატარებულია ძალიან კარგი შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევა, თუმცა არ იძლევა რაოდენობრივ კვლევაზე ისეთ შედეგს, რომელსაც უნდა იძლეოდეს. მას აინტერესებდა, რა იყო იმის მიზეზი, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება კურსდამთავრებულს ანიჭებდა კვალიფიკაციას არა „ფინანსების“ ბაკალავრს, არამედ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს „ფინანსებში“, რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეული ზომით ის აუცილებელი ველები, რომლებიც არის ბიზნესის ადმინისტრირების, უნდა იყოს მთლიანად დახურული. რა თქმა უნდა, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სრული თავისუფლება აქვს ველების ისე წარმოდგენის, როგორც მას ეს სურს, თუმცა მინიმალური კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირებაში კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებელში „სტრატეგიული მენეჯმენტი“ განისაზღვრა როგორც სავალდებულო კურსი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამაში „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსის სილაბუსი ნახა, რომელშიც არ ეწერა ეს კურსი სავალდებულო იყო თუ არჩევითი. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. მან განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ექსპერტები გაეცნობოდნენ სამაგისტრო ნაშრომებს, თუმცა კარგი იქნებოდა თუ ნაშრომები უშუალოდ საბჭოს წევრებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი. მან ცენტრს მიმართა თხოვნით, რომ სამომავლოდ სამაგისტრო ნაშრომებზე წვდომა უზრუნველყო.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, გვანცა ძიძიგურმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომებს ექსპერტები ადგილზე გაეცნენ იმიტომ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ცენტრისთვის ნაშრომების გაზიარების შესაძლებლობა არ ჰქონდა უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ დაადასტურა, რომ ნაშრომები მატერიალური სახით გაუზიარეს ექსპერტებს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სამაგისტრო ნაშრომები შეიცავდა პერსონალურ ინფორმაციას და ცენტრის მხრიდან არ იყო იმპერატიული მოთხოვნა აღნიშნული ნაშრომების წარმოდგენის, დაწესებულება ვერ გადასცემდა ექსპერტებს ამ დოკუმენტებს ელექტრონული სახით. თუ ცენტრი მოითხოვს ნაშრომების გაზიარებას, მაშინ დაწესებულება მზად იქნება ამ დოკუმენტების გაზიარებისთვის, თუმცა მხოლოდ ავტორის ვინაობის მითითების გარეშე.

გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ პერსონალის ინფორმაციის გარეშეც მისაღები იქნებოდა ეს დოკუმენტები.

გიორგი ხიშტოვანმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის რაოდენობრივი კვლევა სამ წელიწადში ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ორჯერ ჩატარდა „ჯეოსტატის“ და „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს“ ერთობლივი ძალისხმევით. აღნიშნული შენიშვნა გასაზიარებელია, თუმცა მისი რეალიზება არის რთული.

გიორგი პაპავამ გიორგი ღაღანიძის მიერ დასმულ მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით, რომელშიც „სტრატეგიული მენეჯმენტი“ არჩევით სასწავლო კურს წარმოადგენს. ეს საგანი სავალდებულო

საგანია მხოლოდ „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამაზე. ის ფაქტი, რომ დარგობრივი მახასიათებლიდან არის ცვალებადი გარემო შესაბამისი ფინანსური სტრატეგიების შემუშავების, ჩართული დაინტერესებული მხარეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც ფინანსებზე არის მორგებული, იფარება სხვადასხვა კურსების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 1.3 ქვესტანდარტის ნარატივში ეწერა მსჯელობა გარკვეულ საკითხებზე, თუმცა შემდეგ რეკომენდაციებსა და რჩევებში არ იყო ამაზე საუბარი. მაგალითად, 1.3 ქვესტანდარტის ნარატივში ეწერა ის თუ რამდენად სწორი იყო სამიზნე ნიშნულები, რომლებსაც ითვალისწინებდნენ აღნიშნული პროგრამები. ასევე რამდენად შეესაბამებოდა შეფასების რუბრიკები სწავლის შედეგებს. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამების კვალიფიკაცია არის "ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“, რომელიც გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას. პრაქტიკის კურსი არის საბაკალავრო პროგრამებში არჩევითი კურსი, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში საერთოდ არ არის მოცემული. დარგობრივი სტანდარტი კი ითხოვს არანაკლებ 5 კრედიტის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის არსებობას. მას აინტერესებდა, რამდენად იყო როგორც „ფინანსების“ საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამა დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისი.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა გიორგი პაპავას მსჯელობას იმ ნაწილში, რომ ყველა სასწავლო კურსი იყო ექვს კრედიტიანი. მინისტრის ბრძანება არა გულისხმობს ვინმეს შეზღუდვას კრედიტების მინიჭების ნაწილში. კრედიტები უნდა იყოს გამოთვლილი კურსის სპეციფიკის მიხედვით. მაგალითად, ერთი რაოდენობის კრედიტების მინიჭება როგორც „აკადემიური წერის“, ისე „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგებისთვის“ არარელევანტურია. შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტების მოსაზრება გასათვალისწინებელია. გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ექვსი კრედიტი ეთმობოდა სასწავლო კურსს „მმართველობით აღრიცხვას“, რომელიც არჩევით სასწავლო კურსებში იყო მოცემული. მას აინტერესებდა, თუ პროგრამა წარმოადგენდა „ფინანსებს“, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა ამ საგნის სწავლება სავალდებულო კურსის სახით. მისი თქმით, „კორპორაციის ფინანსებს“ წინაპირობად განსაზღვრული აქვს „ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები“. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო „კორპორაციის ფინანსებისთვის“ „ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების“ წინაპირობად განსაზღვრა.

გიორგი პაპავამ პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ დარგობრივ მახასიათებელში არ იყო ნათქვამი მის სავალდებულოობაზე, განსხვავებით სხვა დარგობრივ მახასიათებლისგან, რომელშიც ეს საკითხი ხაზგასმულია (მაგალითად, „არქიტექტურის“ დარგობრივ მახასიათებელში).

გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ სასწავლო კურსები, რომლებიც შეიცავდა პრაქტიკულ კომპონენტს, არ ნიშნავდა პრაქტიკულ ნაწილს. მისი თქმით, მსგავს მიმართულებებზე პრაქტიკა დიდი მოცულობით უნდა ისწავლებოდეს. თუ ასე არ იქნება, მაშინ უნივერსიტეტს დარგობრივი სტანდარტი საშუალებას აძლევს, რომ აირჩიოს სხვა კვალიფიკაცია. ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა, „ფინანსების“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში 7 საათზე იყო დანიშნული ლექციები სტუდენტთა მუშაობის გამო. შესაბამისად, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე პრაქტიკის დამატება, როგორც სავალდებულო კომპონენტის სახით, არარელევანტური იქნება.

გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ ეს მოსაზრება მისაღები იყო, თუმცა ასეთ შემთხვევაში ის სტუდენტი, რომელიც არ მუშაობდა, შეიძლება არათანაბარ მდგომარეობაში ყოფილიყო. შესაბამისად, მაშინ, როდესაც სტანდარტი საუბრობს პრაქტიკის სავალდებულოობაზე, აუცილებელია ის იყო პროგრამაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ დარგობრივ მახასიათებელში უფრო სწორი იქნებოდა ზუსტი ჩანაწერი ყოფილიყო გაკეთებული პრაქტიკის სავალდებულოობაზე, კერძოდ, კვალიფიკაციების მიხედვით, პროგრამების შემთხვევაში რა კომპეტენციები და კომპონენტები იქნებოდა სავალდებულო. მაგალითად, უნდა ყოფილიყო ჩანაწერი საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურის დამთავრების შემთხვევაში მინიმუმ კრედიტების რაოდენობა სტაჟირების ნაწილში. მისი თქმით, ასეთი ზუსტი ჩანაწერები სხვა დარგობრივ მახასიათებლებში არსებობს. მაგალითად, „განათლების ადმინისტრირების“ დარგობრივ მახასიათებელში“.

ალექსანდრე ერგეშიძემ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის მიღებისას გათვალისწინება სამუშაო გამოცდილება პროფესიით. შესაბამისად, გაუსაბრების დროს მაღალ ქულას მიიღებს ის კანდიდატი, რომელიც საკუთარ პროფესიაში მუშაობს.

ნინო ჟვანიამ კრედიტების რელევანტურად გადანაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გადახედა პროგრამებს, შენიშვნა ჰქონდა კრედიტების გაანგარიშებასთან დაკავშირებით. კრედიტები უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში დატვირთვასთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ გამორიცხავს იმას, რომ ყველა კრედიტი პროგრამაში იყო ეკვივალენტური. რაც არ უნდა იყოს კრედიტი მინიჭებული, შესაბამისი დატვირთვა უნდა იყოს გათვალისწინებული და მკაფიოდ განსაზღვრული სილაბუსებში. გიორგი პაპავამ განაცხადა, რომ სტუდენტს „აკადემიური წერის“ იმ დონეზე ასათვისებლად, რომ მერე მან შეძლოს სამაგისტრო ნაშრომის ეფექტურად განხორციელება, სჭირდება ის დრო, რომელიც ამ სილაბუსში არის გაწერილი. ასევე არსებობს „კვლევითი მეთოდების“ სასწავლო კურსი, რომელიც ორივე ერთობლიობაში ამზადებს სტუდენტს იმისთვის, რომ სამაგისტრო ნაშრომი ნაყოფიერად დაწეროს.

გიორგი ხიშტოვანმა წინაპირობების ჯაჭვის სწორად დაცვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ფინანსური ბაზრების საგნებში ჰქონდა გათვალისწინებული როგორც ბაზრების მიმოხილვა, ისე ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებითაც ბაზრებზე ხდებოდა უშუალოდ ოპერირება, ხოლო კორპორაციული კურსის შიგნით განიხილება ისეთი სპეციფიკური თემები, როგორებიცაა „ფინანსური ინსტრუმენტები“, „სადივიდენდო პოლიტიკა“, „კაპიტალის სტრუქტურა“ და ა.შ. შესაბამისად, ამ ლოგიკიდან გამომდინარე ჯერ ისწავლება „ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების კურსი“, ხოლო შემდეგ „კორპორაციული ფინანსები“. „კორპორაციულ ფინანსებს“ „ფინანსური ინსტრუმენტები და ბაზრები“ წინაპირობად იმიტომ სჭირდება, რომ შეაფასო ფინანსური ინსტრუმენტი. მაგალითად, ობლიგაცია. შესაბამისად, სტუდენტმა ჯერ უნდა იცოდეს რას ნიშნავს კორპორაციული სასესხო ბაზარი და ობლიგაცია, რათა შემდეგ გაიგოს ობლიგაციის შეფასება.

საერთაშორისო ექსპერტმა, კაროლინა ტიმკომ (Carolina Timco), გოჩა თუთბერიძის მიერ დასმულ პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვერ მიხვდა კითხვის შინაარს. მისი თქმით, ყველა დოკუმენტი არ იყო მოცემული ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, მის მაგივრად სხვა ქართველ ექსპერტებს მოუწიათ მათზე მუშაობა.

ექსპერტმა სანდრო ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გაცემული იყო ორი რჩევა. პირველი რჩევა ეხებოდა იმის გარანტირებას, რომ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სცოდნოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა თავად მექანიზმთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს არანაირი შენიშვნა არ ჰქონდა. მაღალი „ბენჩმარკინგის“ დაწესებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან ამ პროგრამებს არ უმუშავია, რეკომენდაციის გაცემისაგან ექსპერტებმა თავი შეიკავეს. ის ნარატივი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტის მიერ იყო ნახსენები დასკვნაში, ეხებოდა ერთ სასწავლო კურს, რომელშიც საუბარია, რომ კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასება მოხდება სამი სასწავლო კურსით/აქტივობით. ერთ-ერთ აქტივობაში საუბარი იყო მხოლოდ ვერბალური კომპეტენციის შეფასებაზე მაშინ, როდესაც სწავლის შედეგში საუბარია როგორც ვერბალურ, ისე წერით შეფასებაზე, თუმცა წერითი კომპეტენცია ფასდება სხვა სასწავლო კურსით. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი კონკრეტული სწავლის შედეგი ფასდება ერთზე მეტი საგნისა და

შეფასების ინდიკატორით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ეს საკითხი არ ყოფილიყო რეკომენდაციაში ან რჩევაში მოცემული. მისი თქმით, მეორე რჩევა ეხებოდა გარე აქტორის უფრო მეტად ჩართულობას. პირველ რჩევასთან დაკავშირებით, გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ნარატივშიც უნდა ყოფილიყო მოცემული იმიტომ, რომ კითხვები არ დასმულიყო. ის, რაც ნარატივშია მოცემული, რეკომენდაციას უფრო შეესაბამება, ვიდრე რჩევას, რომელიც შედეგებში არ არის ასახული. მეორე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავისი შინაარსით წარმოადგენდა რჩევას და არა რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, წარმოდგენილი სახით პროგრამები თავისი შინაარსით შეესაბამებოდა თუ არა მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული არ იყო ავტორი. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ექსპერტმა ილია ბოცვაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები, შედეგები და კვალიფიკაცია ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა პროგრამის კურიკულუმი პროგრამის კვალიფიკაციას არ უკავშირდება. რადგან უნივერსიტეტს აქვს არჩეული კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირება „ფინანსებში“, „ფინანსების“ ძირითადი მიმართულების შესწავლა დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ბიზნესის ფართო სფეროზე უნდა იყოს დაფუძნებული. პროგრამაში ბიზნესის ნაწილი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. მისი თქმით, ისეთი რთული საგნები, როგორებიცაა „ფინანსური მენეჯმენტი“, „ფინანსური ანალიზი“ და ა.შ. წარმოდგენილია 6 კრედიტით და 2 საკონტაქტო საათით. ასევე ნაკლებად რთული შინაარსის მქონე საგნები, კერძოდ, „აკადემიური წერა“, „ეთიკის საფუძველ“ იგივე კრედიტითა და მოცულობით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, დაწესებულების მიერ არ არის ლოგიკური დაკავშირება და სისტემური მიდგომა საკონტაქტო საათებსა და კრედიტებს შორის. ამრიგად, 180 კრედიტში ვეღარ მოექცა ყველა ის კურსი, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პროგრამაში. პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამაში „სტაჟირება“ უნდა ყოფილიყო სავალდებულო კომპონენტი, რომელსაც დაეთმობოდა 5 კრედიტი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ სილაბუსის გრაფაში არ იყო ცალკე გრაფა სილაბუსის ავტორის იდენტიფიცირების მიზნით. ყველა სილაბუსის ავტორია ის ლექტორი, რომელიც მითითებულია. იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ლექტორი კითხულობს საგანს, ეს კურსი მუშავდება ამ ლექტორების მონაწილეობით.
ალექსანდრე ერგეშიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა მიმართულებების ხელმძღვანელების პრაქტიკა. მისი თქმით, როდესაც კონკრეტული მიმართულების ხელმძღვანელი ამუშავებს სილაბუსს, ის კონსულტაციებს გადის ამ მიმართულების ლექტორებთან. შესაბამისად, ამ პრინციპით ხდება სასწავლო კურსის შედგენა.
„ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით თუთბერიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული საკვანძო სამართლებრივი საკითხები უკვე გათვალისწინებული იყო არაერთ სასწავლო კურსში. ასევე უკვე დაფარულია პროგრამაში სავალდებულო კურსით „მენეჯმენტის საფუძვლები“, რომელიც რელევანტურია ფინანსური დარგის სპეციალისტისთვის და თანაკვეთაშია „ადამიანური რესურსების მართვასთან“. მისი თქმით, სრულად მიუღებელია „ფინანსების“ დარგში „ადამიანური რესურსების მართვა“ იყოს სავალდებულო კურსი.
გიორგი პაპავამ აღნიშნა, რომ „არქიტექტურის“ დარგობრივ მახასიათებელში ეწერა შემდეგი: „არქიტექტურის“ საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია „პრაქტიკა“, ხოლო „ფინანსების“ დარგობრივ მახასიათებელში მოცემული იყო შემდეგი: „ფინანსების“ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს არანაკლებ 5 კრედიტის მოცულობის“.
გიორგი პაპავას თქმით, „ფინანსების“ პროგრამებში „პრაქტიკის“ კომპონენტი შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებში

„პრაქტიკა“ წარმოდგენილია არასავალდებულო (არჩევითი) კომპონენტის სახით, რომელიც „ფინანსების“ დარგობრივ მახასიათებელთან რელევანტურია. უნივერსიტეტი გასული წლების ანალიზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტუდენტები არ ირჩევდნენ „პრაქტიკის“ სასწავლო კურს. შესაბამისად, პროგრამაში მისი წარმოდგენა სავალდებულო კურსი სახით არარელევანტური იქნება.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ გაიცა სამაგისტრო პროგრამის მიმართ რეკომენდაცია, რომ პროგრამაში არსებულიყო „ბიზნესის საფუძვლები“ და „მარკეტინგი“. ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი კრედიტი ეჭირა ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსებს და იყო თუ არა ისინი მინიმალური 120 კრედიტის ფარგლებში მოქცეული.

საერთაშორისო ექსპერტმა, კაროლინა ტიმკომ (Carolina Timco) პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე მოდიან არასპეციალისტები. შესაბამისად, მათთვის აღნიშნული კურსების სწავლა რელევანტური იქნება.

გიორგი პაპავამ აღნიშნა, რომ სამწლიან პროგრამაზე სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობა იყო 84, ხოლო არჩევითის 36.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ „სამაგისტრო ნაშრომი“ არის „სამეცნიერო ნაშრომი“, რომლის გასაჯაროების პრობლემა არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დგას. მისი თქმით, არსებობდა გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი არ საჯაროვდებოდა, კერძოდ, თუ ის შეიცავდა სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. მან დაწესებულებას მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინა.

ნინო ჟვანიამ დაადასტურა, რომ ნაშრომები მატერიალური სახით გაუზიარეს ექსპერტებს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სამაგისტრო ნაშრომები შეიცავდა პერსონალურ ინფორმაციას და ცენტრის მხრიდან არ იყო იმპერატიული მოთხოვნა აღნიშნული ნაშრომების წარმოდგენის, დაწესებულება ვერ გადასცემდა ექსპერტებს ამ დოკუმენტებს ელექტრონული სახით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, გვანცა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ცენტრისაგან მოთხოვნილი იყო სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენა, რომლებიც დაწესებულებამ ვიზიტს დროს არა ელექტრონული, არამედ მატერიალური სახით წარმოადგინა. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ „დარგობრივი დოკუმენტი“ იერარქიულად გაცილებით დაბლა იდგა, ვიდრე „კვალიფიკაციების ჩარჩო“. შესაბამისად, ძირითად დოკუმენტს წარმოადგენდა „კვალიფიკაციების ჩარჩო“. მისაღებია ის მოსაზრება, რომ უნივერსიტეტმა „დარგობრივი დოკუმენტით“ იხელმძღვანელა პროგრამების შექმნისას. მისი თქმით, როდესაც დაწესებულებამ ნახა, რომ ამ დოკუმენტში ეწერა მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ფინანსების ბაკალავრი“, ხოლო „კვალიფიკაციების ჩარჩო“ აღნიშნულ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე არაფერს საუბრობდა, საღ აზრზე დაფუძნებული გადაწყვეტილებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კურსდამთავრებულისათვის მიენიჭებინა კვალიფიკაცია "ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში“. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა მისაღებია, თუმცა როდესაც კვალიფიკაცია ეხება „ბიზნესის ადმინისტრირებას“, უნივერსიტეტს უჩნდება ახალი ვალდებულებები. ამრიგად, ის ძირითადი ველი უნდა იყოს კარგად მონიშნული, რომელიც შეადგენს შინაარს ბიზნესის ადმინისტრირების.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, საბაკალავრო პროგრამებში პირველი ბლოკის საგნები, რომელიც არის თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი მოდული, უნდა ყოფილიყო თუ არა 60 კრედიტი.

გიორგი პაპავამ უპასუხა, რომ საბაკალავრო პროგრამებში პირველი ბლოკის საგნები, რომელიც არის თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი მოდული, 60 კრედიტს წარმოადგენდა. საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია

ეხებოდა „ბიზნესის საფუძვლების“ სავალდებულო საგნად გახდომას. მისი თქმით, დაწესებულებას აღნიშნული საგანი მოცემული ჰქონდა სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
ექსპერტმა ილია ბოცვაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ზოგადია და ფაკულტეტის დონეზეა. ეს ნაწილი არ მონაწილეობს სწავლის შედეგების მიღწევაში და მასში მოცემული საგნები არ წარმოადგენენ სწავლის ძირითადი სფეროს საგნებს. 240 კრედიტიან პროგრამაში სავალდებულოდ ჩასასმელი საგნები უფრო ცოტაა, ვიდრე 180 კრედიტიან პროგრამაში. მისი თქმით, როდესაც უნივერსიტეტი გადავიდა 180 კრედიტიან პროგრამაზე, აუცილებელი იყო, რომ დაწესებულებას გადაეხედა პროგრამის სტრუქტურაც, რათა არ დაკლებოდა შესაბამისი კურსები ძირითად სფეროზე. პროგრამის სავალდებულო შედეგების მიღწევაში „ბიზნესის საფუძვლები“ არ მონაწილეობს.
გიორგი პაპავამ განაცხადა, რომ „ბიზნესის საფუძვლები“ სავალდებულო საგანს წარმოადგენდა. მისი თქმით, ის არის თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის ნაწილი. სტუდენტი ვერ დაამთავრებს პროგრამას თუ მან არ გაიარა „ბიზნესის საფუძვლები“. ექსპერტების ძირითადი შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ ეს საგანი მოცემული ყოფილიყო თავისუფალი კომპონენტის ზოგადი მოდულის და არა ძირითადი სფეროს ნაწილში. ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ არც შიდა და არც გარე რეგულაციაში არ წერია ის, რომ თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული კურსებით არ შეიძლება ისწავლებოდეს კვალიფიკაციასთან ან დარგთან დაახლოებული სასწავლო საგნები. დაუშვებელია მხოლოდ ის, რომ სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებული იყოს თავისუფალ კომპონენტზე.
გიორგი ხიშტოვანმა აღნიშნა, რომ „ბიზნესის საფუძვლები“ იყო პროფესიაში შესვლის კურსი. ამ კომპონენტში აღნიშნული კურსის დამატების მიზანი იყო ის, რომ სტუდენტს ზოგადი წარმოდგენა და ინტერესი გასჩენოდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართ. შესაბამისად, ამ საგანს აქვს მიმოხილვითი დატვირთვა სხვადასხვა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებზე. სამივე პროგრამაზე, განსაკუთრებით მაგისტრატურის საფეხურზე, ე.წ. „ჩაშენებული“ პრაქტიკის ელემენტები არსებობს, სადაც როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ კონტექსტში არის ის კომპონენტები, რომლებიც გულისხმობს პრაქტიკულ მუშაობას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში ერთ-ერთი რჩევა მოცემული იყო შემდეგი შინაარსით: „სასურველია, სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულების და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას“. მას აინტერესებდა, რა იყო აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი. მან ასევე დაწესებულებას მიმართა, რომ 1.5 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რჩევასთან მიმართებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის.
ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სისტემურ ხარვეზებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ექსპერტებმა დაწესებულების მიმართ გასცეს რჩევა, რომ სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას. მისი თქმით, ქართულენოვანი ლიტერატურის განახლებული სახით წარმოდგენა ყველა დაწესებულების პრობლემაა. შესაბამისად, ექსპერტებმა მხოლოდ რჩევის სახით მისცეს უნივერსიტეტს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ამ საკითხს.ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ნიკოლოზ ყაველაშვილმა განაცხადა, რომ ქართულენოვანი ლიტერატურის ნაკლოვანება ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტკივილია, თუმცა არსებობს იმისი მცდელობები, რომ ითარგმნოს კარგი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. მაგალითად, ახლახანს ითარგმნა „ეკონომიკის“ სახელმძღვანელო. ასევე ლექტორები ამზადებენ რიდერებს. გარდა ამისა, ამ დარგის განვითარებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ბევრს მუშაობს. ამრიგად, ეს არის ყველას პრობლემა და მისი სრულყოფილად განხორციელება რთულია.

ექსპერტმა სანდრო ტაბატაძემ დიანა მჭედლიშვილის მიერ პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ოთხი განსხვავებული შეფასების მქონე სამაგისტრო ნაშრომი. იმ ნაშრომებში, რომელთა შეფასებაც იყო „A" და „B", არ ფიქსირდებოდა სტილისტური შეცდომა. იმ ნაშრომებში, სადაც ეს პრობლემა იდგა, სტუდენტს დაკლებული ჰქონდა ქულა. შესაბამისად, ამიტომ გაიცა რჩევა და არა რეკომენდაცია ამ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამების როგორც 240, ისე 180 კრედიტიან პროგრამებს აქვთ იდენტური მიზნები და შედეგები, თუმცა სავალდებულო კრედიტები და სავალდებულო კურსები არის განსხვავებული. მას აინტერესებდა, როგორ ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ორივე შემთხვევაში სტუდენტი გადის ერთი და იგივე სწავლის შედეგებზე და კვალიფიკაციაზე.

დავით თუთბერიძემ აღნიშნა, რომ სამწლიანი პროგრამა არის ოპტიმალური პროგრამა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები. ასევე დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების ფარგლებში სტუდენტმა უნდა მიიღოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. ოთხწლიანი პროგრამა განსხვავდება სამწლიანი პროგრამისაგან იმით, რომ მასში ისწავლება დამატებითი საგნები. მიზეზი იმისა თუ რატომ აქვს დაწესებულებას ოთხწლიანი პროგრამა ბევრია. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს მოქნილობას სწავლების პროცესში, კერძოდ, მან შეძლოს დამატებითი სპეციალობის მიმართულებით წასვლა.

ნიკოლოზ ყაველაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს ბევრი სტუდენტი ოთხწლიან პროგრამაზე და მალე სამწლიან პროგრამასაც შესთავაზებს, თუმცა როგორი მოთხოვნა იქნება, ძნელი სათქმელია.

გიორგი პაპავამა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ შექმნა შესაძლებლობა, რომ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით დაწესებულებამ შეძლოს კვალიფიკაციის მინიჭება „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში". მან საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ დაეზუსტებინა რომელ შედეგზე გადიოდა ოთხწლიანი და რომელ შედეგზე არ გადიოდა სამწლიანი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით, სწავლის პირველი შედეგი შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „დემონსტრირების ბიზნესის და ფინანსების ძირითადი დისციპლინების თანამედროვე თეორიების, კონცეფციების და მიდგომების საბაზისო ცოდნას". 180 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში სტუდენტი აღწევს სწავლის შედეგს ორი საგნით, კერძოდ, „საინვესტიციო პოლიტიკითა" და „ფინანსური გადაწყვეტილებები და მენეჯმენტის საფუძვლებით", ხოლო 240 კრედიტიანი შემთხვევაში ემატება „მარკეტინგის საფუძვლები". შესაბამისად, თუ ამ შედეგზე გასასვლელად „მარკეტინგის საფუძვლები" აუცილებელია, მაშინ რატომ არ არის ეს მოცემული 180 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში. გიორგი პაპავამ აღნიშნა, რომ სამწლიანი პროგრამა აღწევს იმ მიზანს, რომელიც დასახული აქვს, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ მარკეტინგის საკითხები დაფარულია სხვადასხვა საგნებით. ოთხწლიანი პროგრამის შემთხვევაში უნივერსიტეტს აქვს იმისი საშუალება, რომ ჰქონდეს დამატებითი საგნები. მაგალითად, „მარკეტინგის საფუძვლები", რომელიც სამწლიან პროგრამაში არჩევითი კურსია, ოთხწლიან პროგრამაში გადავა სავალდებულო საგნის სტატუსით. ამრიგად, სამწლიანი და ოთხწლიანი პროგრამა სწავლის შედეგზე გადის. ეს უკანასკნელი სწავლის შედეგზე გადის ისეთი დისციპლინით, როგორიცაა „მარკეტინგი". საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იყო რთული. თუ ერთ პროგრამას აქვს მეორე პროგრამის იდენტური მიზნები და სწავლის შედეგები, მაშინ რატომ უნდა აირჩიოს სტუდენტმა ოთხწლიანი პროგრამა და არა სამწლიანი. ამ პროგრამებს შორის უნდა არსებობდეს განსხვავებული მიზნები და სწავლის შედეგები, რათა სტუდენტს ინტერესი ჰქონდეს კიდევ ერთი დამატებით წლით სწავლის სურვილი.

ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს ისეთი მესამე წლის სტუდენტები, რომლებსაც დამატებითი საგნები გავლილი აქვთ. ამ ეტაპზე არავინ არ იცის როგორ მოხდება სტუდენტების მოთხოვნის გადანაწილება სამ და ოთხწლიან პროგრამებს შორის. თუ დაწესებულება მივა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ირჩევს სამწლიან პროგრამას, მაშინ უნივერსიტეტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ოთხწლიან პროგრამასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნის 26-ე გვერდზე მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია გარკვეული მოსაზრებები სამივე პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფის წევრებს აინტერესებთ შესაძლებელი იქნება თუ არა აღნიშნული სტრუქტურის ფარგლებში კვალიფიკაციის მინიჭება და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა.“ მას აინტერესებდა, წარმოდგენილი პროგრამები გადიოდნენ თუ არა კვალიფიკაციაზე. ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამების არის „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი საგნების ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს ბიზნესის ადმინისტრირების საგნებს. მაგალითად, „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“ და „ფინანსები“. ამის შემდეგ უნდა მოხდეს გაძლიერება „ფინანსების“ მიმართულებით, რადგან პროგრამები „ფინანსებზე“ ახდენს კონცენტრირებას. „ბიზნესის ადმინისტრირების“ ძირითადი საგნები პროგრამებში წარმოდგენილია, გარდა „მარკეტინგისა“ და „ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსებისა. ამრიგად, მეტწილად უზრუნველყოფს აღნიშნული საგნებით წარმოდგენილი პროგრამები კვალიფიკაციაზე გასვლას, რომლებიც, რა თქმა უნდა, გაუმჯობესებას ექვემდებარებიან.
ნინო ჟვანიამ პროგრამის შედგენის პრინციპებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად ეყრდნობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის სფეროებს. მოცემულ შემთხვევაში სწავლის სფერო არის „ფინანსები“. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის შინაარსი ეფუძნება „ფინანსების“ საკითხებს და ავითარებს „ფინანსებთან“ დაკავშირებულ კომპეტენციებს, ხოლო კვალიფიკაცია, რაც სტუდენტს ენიჭება, ეს არის ის დამატებითი სავალდებულო კომპეტენციები, რომლებიც პროგრამას უნდა ჰქონდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 17:30
აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები, შედეგად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

პროგრამა 1:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python -ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

პროგრამა 2:

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები, შედეგად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია, სავალდებულო საგნების მოცულობის გაზრდა და ძირითადი საგნებისთვის შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python-ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები და ხელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.

4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

პროგრამა 3:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და ბიზნეს სამართალი
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 5 - 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები დახელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულების და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას.
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar,ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.

10. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საავიაციო ინჟინერია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში
დეტალური სფეროს კოდი - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საკითხის განხილვას უხელმძღვანელა თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაციაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა, თუმცა არცერთი რჩევა გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ყველა გამოწვევა, რომელიც პროგრამას ჰქონდა, გადალახულია. უნივერსიტეტმა დაგეგმა ვერტმფრენის ადგილზე სასწავლო ლაბორატორიის აშენება, რომელიც უკვე განხორციელდა და მატერიალური ბაზის სხვა დარჩენილი ნაწილი და საფრენი აპარატი ადგილზეა. გაცემული რჩევები პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებზე იყო ორიენტირებული და ამ თვალსაზრისით უზრუნველყოფილია ადგილზე კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტითა და განმახორციელებელი პირით. დაწესებულებას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს „თბილავიამშენ“ და სხვა მსგავს დაწესებულებებთან. მისი თქმით, პროგრამა მოთხოვნადია. დაწესებულება სტუდენტს ხელს უწყობს როგორც სასწავლო, ისე დამატებით სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. მესამე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რჩევაში გათვალისწინებულ აქტივობებს უნივერსიტეტი საუნივერსიტეტო ფარგლებში აკეთებდა, კერძოდ, დამსაქმებლების ფორუმის დროს. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები როგორც ტექნიკის, ისე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. კონკრეტულ ფაკულტეტებს დაემატა ერთი დეკანის მოადგილის შტატი. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინა დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია და კარგი შეფასება მიიღო საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციებისა და კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდასთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით აღარ უნდა იმუშაოს.
ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა დაადასტურა, რომ სხვა პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა დაწესებულებაში და ნანახი ჰქონდა ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გაუმჯობესდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნაში საუბარი იყო იმაზე, რომ უნივერსიტეტს დაემატებინა პროგრამის განმახორციელებელი სპეციალისტები. მას აინტერესებდა, ვინ იგულისხმებოდა პროგრამის განმახორციელებელ სპეციალისტებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ საუბარია იყო იმ ორ სპეციალისტზე, რომელიც დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის სახით დაამატა. მისი თქმით, მათ განათლება (უმაღლეს განათლების მეორე საფეხური) ამ მიმართულებით მიღებული ჰქონდათ საზღვარგარეთ. დაწესებულებას იმდენი აკადემიური პერსონალი ჰყავს გათვალისწინებული, რამდენიც პროგრამას 4 წლის განმავლობაში დაგეგმილად დასჭირდება. ამ მიმართულებაზე სტუდენტთა მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულება შეძლებს იმდენი საშტატო კატეგორიის გათვალისწინებას, რამდენიც საჭირო იქნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 18:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შეასრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{11} საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭო სწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ხათუნა საგანელიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 10 რეკომენდაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე პერსონალი არ იცნობდა სილაბუსს, სადაც მითითებული იყო. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, თუმცა იმედოვნებდა, რომ უნივერსიტეტი საკუთარ მოხსენებაში უფრო ნათელს შესძენდა ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, სოფიო ხუნდაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ პერსონალი, რომელიც წერია სილაბუსში უნდა იცნობდეს საკუთარ სილაბუს. პროგრამაზე იგეგმება უფრო მეტი რაოდენობის სტუდენტის მიღება, ვიდრე ამჟამად არის. შესაბამისად, ყველა პერსონალი, რომელიც პროგრამის სილაბუსშია განსაზღვრულია, სრულად დატვირთული არ არის. მატერიალური და

ადამიანური რესურსი მას შემდეგ დაითვლება, როდესაც სრულად მოხდება სტუდენტთა რაოდენობის მიღება. ამრიგად, ამ მიმართულებით დაწესებულება მუშაობს და მომავალშიც ასე გააგრძელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა წელს უნივერსიტეტს გამოცხადებული მისაღები ადგილები საქართველოს მოქალაქეებისთვის და რამდენი შეივსო.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, თამარ პერტაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წელს გამოცხადებული ჰქონდა 10 ადგილი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და მხოლოდ 5 ადგილი შეივსო. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, „OSCE"-ს გამოცდა არის ბევრ კლინიკურ საგანში გამოყენებული როგორც „მინი ოსკის" სახით, ისე „ინფორმაციული შეფასების" და „ფინალური გამოცდების" დროს. ასევე კლინიკური საგნების სილაბუსებში „OSCE"-ის სადგური შედგება ორი და ოთხი სადგურისგან. მას აინტერესებდა, რამდენად შესაბამისობაში იყო ეს დარგობრივ მახასიათებელთან. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია „OSCE"-ს ძლიერი საგამოცდო ცენტრი. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი მზად არის ჩაატაროს სხვა დაწესებულებებისთვისაც „OSCE"-ს ტიპის გამოცდები. დარგობრივი მახასიათებელი ითხოვს, რომ „OSCE"-ის გამოცდა მინიმუმ 12 სადგურისაგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ყველას საგანში აუცილებელი არ არის იყოს 12 სადგური. გამოცდის ჩატარება „მინი ოსკითაც" შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს.

ხათუნა თოდაძემ ხათუნა საგანელიძეს დაეთანხმა იმ ნაწილში, რომ ყველა უნივერსიტეტს შეიძლება არ ჰქონოდა 12 სადგური, თუმცა როდესაც დაწესებულებას აქვს კლინიკური საგანი, ფინალური (დასკვნითი) გამოცდის დროს რეკომენდებული იყო მინიმუმ 10 სადგურის არსებობა. თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ 10-12 სადგური უნდა იყოს დასკვნით გამოცდაში, თუმცა რეალობიდან გამომდინარე ყველა სასწავლო კურსში 12 სადგარიანი „OSCE"-ი რომ არსებობდეს, ფიზიკურად მისი განხორციელება არ იქნებოდა მარტივი. მაგალითად, „შინაგანი მედიცინა 5" თავმოყრილია დიფერენციული დიაგნოზის, ე.ი. ყველა იმ წინა შინაგანი მედიცინის გამეორება, რომელშიც შედის „შინაგანი ფარმაკოლოგია", რომელიც უზრუნველყოფს 12 სადგარიანი „OSCE"-ის შემაჯამებელ სადგურების რაოდენობის გატარებას. დაწესებულებამ გააკეთა „ბენჩმარკინგი", რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტმა ვერ მოიძია ისეთი დაწესებულება, რომელსაც ყველა სასწავლო კურსში 12 სადგარიანი „OSCE"-ი ექნებოდა. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დარგობრივ მახასიათებელში ეწერა სიტყვა „სასურველი" და არა „აუცილებელი". შესაბამისად, უნივერსიტეტის ასეთი ქმედება არ ეწინააღმდეგება დარგობრივ სტანდარტს.

ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „მინი ოსკი" გაწერილია ბევრ კლინიკურ საგანში, რაც მისასალმებელია. მას აინტერესებდა, „მინი ოსკის" გამოცდა კლინიკურ დეპარტამენტებში თუ „OSCE"-ის საგამოცდო ცენტრებში ტარდებოდა. თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ როგორც „მინი ოსკი", ისე დასკვნითი ოსკი ტარდებოდა უნივერსიტეტის სიმულაციურ ცენტრში. მისი თქმით, დაწესებულებაში შექმნილია „OSCE"-ის კომიტეტი. „OSCE"-ის შეფასებაში მონაწილეობს 5 პირი, რომელიც გადის ტრენინგებს შესაბამისი სასწავლო კურსის შეფასების ნაწილში. მათ წინასწარ ეგზავნებათ „ჩეკლისტები", რომელთ მეშვეობითაც ხდება სტუდენტის შეფასება.

ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ „სასამართლო მედიცინის" გამოცდა იყო „OSPE"-ს ფორმით, რომელიც საბაზისო საგნებისთვის არის რეკომენდებული და არა კლინიკური საგნებისთვის. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

თინათინ გოგნაძემ განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა. ხათუნა თოდაძემ დაწესებულებას მიმართა, რომ პორტფოლიოსთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის. თინათინ გოგნაძის თქმით, დაწესებულებაში

პორტფოლიო გამოიყენება როგორც ერთ-ერთ შეფასების მეთოდად. ამჟამად პორტფოლიო ჩასმულია „შინაგანი მედიცინის“ მიმართულებით. პორტფოლიო ელექტრონული სახით არ არსებობს, თუმცა მომავალში იგეგმება მისი ელექტრონული სახით შექმნა.
ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა „VPBA“-ის შეფასება.
თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ „VPBA“-ის შეფასება დარგობრივი მახასიათებლით რეკომენდებულია მხოლოდ „Mini-CEX”-ით და „Workplace Based Assessment“-ით. შესაბამისად, უნივერსიტეტი ცდილობს, რომ დანერგოს აღნიშნული შეფასების სისტემები პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუნდაძემ დაამატა, რომ აღნიშნული სისტემების დანერგვის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობდა არაერთ უცხოელ ექსპერტთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაცილი წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაცილი წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შეასრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სინოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ზვიად ცხვედიანი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წელს ხორციელდება როგორც „Major Program“, თუმცა უნივერსიტეტს ჰქონდა თერთმეტწლიანი გამოცდილება „Minor Program“ განხორციელების. მისი თქმით, კლასტერული აკრედიტაციის დროს პროგრამის მიმართ შვიდი რეკომენდაცია და შვიდი რჩევა გაიცა. პირველი სტანდარტი „მეტწილად“, ხოლო მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა. ამ რეკომენდაციებსა და რჩევებს შორის არის გარკვეული საერთო კლასტერული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" და „ჩინეთისმცოდნეობის“ პროგრამას არ ეხებოდა. მაგალითისთვის მოიყვანა, მეხუთე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ქიმერიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტს მეორე განხილვასთან დაკავშირებით არ მოუთხოვია დამატებითი დოკუმენტაცია. შესაბამისად, დაწესებულების მიერ გაზიარებულმა დოკუმენტაციამ ამოწურა არგუმენტირებული ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწყების დრო: 18:42
დასრულების დრო: 19:05
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შეასრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სკოლამდელი განათლება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია- სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება - 0112

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ქეთევან თოდაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პირველ და მეოთხე სტანდარტებს. მისი თქმით, პირველი სტანდარტი თორმეტ, ხოლო მეორე სტანდარტი ორ რეკომენდაციას შეიცავდა. დაწესებულებამ ძალიან დიდი შრომა ჩადო იმაში, რომ რეკომენდაციები შეესრულებინა. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა. დაწესებულებამ ანგარიშში აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის შესაბამისად ორი ნაწილობრივ, ხოლო დანარჩენი რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა. მეოთხე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებზე შესრულება დაწესებულებას დაწყებული აქვს. ამრიგად, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ინტერნაციონალიზაციის გაზრდის

მიზნით. სწავლის შედეგების შესახებ ჩამატებები გაკეთდა სილაბუსებში და შეიცვალა რამდენიმე სილაბუსი არსობრივად. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ კონკრეტულად სკოლამდელი განათლების მიმართულებით პერსონალის მომზადებას. მისი თქმით, ამ რეკომენდაციის ერთ წელიწადში სრულად შესრულება შეუძლებელია, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულება დაწესებულების მიერ მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციებზე მუშობა დაიწყო, რომელიც ერთ წელიწადში ვერ შესრულდება. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ წელს უნივერსიტეტს პირველ კურსზე პირველი მიღება აქვს სტუდენტების. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რომლის შესასრულებლად უნივერსიტეტმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც პერსონალის მიერ სწავლის შედეგების უფრო მეტად გაცნობას ეხებოდა, დაწესებულებას როგორც შეეძლო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მეცამეტე რეკომენდაცია ეხებოდა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას, სემინარების ორგანიზებასა და ტრენინგების ჩატარებას. დიანა მჭედლიშვილის თქმით, ეს არის ისეთი პროცესი, რომელიც დაწესებულებაში არ უნდა დასრულდეს და მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. უნივერსიტეტმა ამ რეკომენდაციის შესასრულებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული რეკომენდაციების შეფასება გამხდარიყო „ნაწილობრივ შესრულებული“.
ექსპერტმა ქეთევან თოდაძემ აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად უნივერსიტეტმა დიდი სამუშაო გაწია. დაწესებულებას აქვს კარგად გაწერილი გეგმა. მხარეების ინფორმირებისთვის გაკეთებულია საკმაოდ ბევრი რამე, თუმცა უკეთესი იქნებოდა ამის შესრულება უფრო სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად მომხდარიყო. ამ შემთხვევაში რეკომენდებული იქნებოდა მიზნებისა და შედეგების უფრო კარგად გაწერა. სწავლის შედეგების გაცნობის რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ დიდი ნაბიჯები გადადგა, რათა დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგები გაეცნო, თუმცა არსად არ არის გაწერილი შემდგომი საინფორმაციო სესიები იგეგმება თუ არა ან უკუკავშირის მექანიზმები რა იქნება იმისათვის, რომ ეს ჩართულობა გაგრძელდეს და უწყვეტად შენარჩუნდეს. ამრიგად, ძალიან მცირე ჩასწორებები ამ გეგმებში უკვე საკმარისი იქნება იმისთვის, რომ რეკომენდაციები სრულად შესრულებულად ჩაითვალოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს შედეგები კიდევ უფრო დაიხვეწა და ახალ პროგრამაში ერთობლივად არის წარმოდგენილი. მისი თქმით, რეკომენდაციების სრულად შესრულების შემდეგ ეს პროგრამა იქნება ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

დაწყების დრო: 19:05
დასრულები სდრო: 19:25
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 19:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა